



ენერგოდაიჯესტი

საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო

ანალიტიკური დეპარტამენტი



12/08/2015

№ 7

სარჩევი

საქართველო.....	3
ნავთობის მოპოვება საქართველოში.....	3
აზერბაიჯანი და საქართველო ალტერნატიული ენერჯეტიკის სფეროში ითანამშრომლებენ	7
საწვავის იმპორტის მიმდინარე წლის 6 თვის მაჩვენებელი 14.5%-ით აღემატება გასული წლის მაჩვენებელს.....	8
რეგიონი	10
„სამხრეთის გაზის დერეფნის“ კაპიტალიზაცია მნიშვნელოვნად გაიზარდა.....	10
აზერბაიჯანი და ირანი ელექტროენერჯის შესახებ ახალ შეთანხმებას მოაწერენ ხელს	11
თურქეთს ირანში ნავთობისა და გაზის კვლევა-ძიების სამუშაოების ჩატარება სურს	12
უკრაინა ყაზახეთს მისი ტერიტორიის გავლით ნავთობისა და გაზის ტრანსპორტირებას სთავაზობს	13
მსოფლიო.....	15
ალბანეთში კერძო კომპანიების მიერ ელექტროენერჯის წარმოების ბუმი	15
2015 წელს Gazprom-ის გაზის წარმოება ყველა დროის მინიმუმამდე შემცირდება.....	16
აშშ-ს ელექტროენერჯის ბაზარზე ბუნებრივმა აირმა ქვანახშირს პირველობა ჩამოართვა	17
მომდევნო ფიქალის ბუმის ახალი პრეტენდეტნი	18
ანალიტიკა	20
ნავთობი - გზა მოპოვებიდან მომხმარებლამდე	20
გამოყენებული ლიტერატურა.....	23

საქართველოს ენერგეტიკულ სექტორში მიმდინარე მოვლენების, გადაწყვეტილებების ანალიზი და სამინისტროს მმართველობაში არსებული კომპანიის, ან საქართველოს ენერგეტიკასთან დაკავშირებული სხვა კომპანიების საქმიანობის მოკლე მიმოხილვა.

ნავთობის მოპოვება საქართველოში

საქართველოში ნავთობის მოპოვება XX საუკუნის 30-იან წლებში დაიწყო. მოპოვება XX საუკუნის 70-იან წლებამდე მიმდინარეობდა შვიდ მცირე ზომის საბადოზე (მირზაანი, პატარა შირაქი, სუფსა, ნორიო, საცხენისი, ტარიზანა და აღმ. ჭალადიდი) და წლიურად, საშუალოდ, 20-55 ათას ტონას შეადგენდა. შემდეგ აღმოჩენილი იქნა მაღალდებიტიანი საბადოები თბილისისპირა რაიონში (სამგორი-პატარძელი-ნინოწმინდა, სამგორის სამხრეთ თალი, თელეთი) და წლიურმა მოპოვებამ - 3 მლნ.ტ-ს გადააჭარბა. ამჟამად საქართველოს ტერიტორია დაყოფილია სალიცენზიო ფართობებად (ე.წ. ბლოკები), სადაც ნავთობის ძებნა-ძიებისა და მოპოვების სამუშაოებს, სხვადასხვა დროს, საერთაშორისო ტენდერებით შერჩეული ინვესტორი კომპანიები ახორციელებენ. მათ სახელმწიფოსთან გაფორმებული აქვთ პროდუქციის წილობრივი განაწილების ხელშეკრულებები. (სს „სნგკ“, თ.გ.)


სსიპ „ნავთობისა და გაზის სახელმწიფო სააგენტო“ ახორციელებს ნავთობისა და გაზის ოპერაციების სამართლებრივ რეგულირებას, სააგენტო მოქმედებს „ნავთობისა და გაზის შესახებ“ კანონის საფუძველზე და ეფუძნება ერთი გაჩერების პრინციპს, რაც გულისხმობს ერთიანი საინვესტიციო გარემოს შექმნას. „ნავთობისა და გაზის სახელმწიფო სააგენტო“ გასცემს უფლებამოსილებას ნავთობისა და გაზის ოპერაციებზე. სახელმწიფოს კუთვნილი ნავთობის განაწილებისა და განკარგვის კუთხით კი ნომინირებულია ეროვნული ნავთობკომპანია სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია“. (სსიპ „ნგსს“, თ.გ.)

საქართველოს ტერიტორია დაყოფილია 25 სალიცენზიო ბლოკად. ბლოკებზე ნავთობისა და გაზის სარგებლობის გენერალური ლიცენზია ღია საერთაშორისო ტენდერების საფუძველზეა გაცემული. დღეისათვის 23 კომპანია ნავთობის 21 სალიცენზიო ბლოკზე მუშაობს, რომელთაგან 5 კომპანია უშუალოდ მოპოვებას ახორციელებს. (სსიპ „ნგსს“, თ.გ.). 2013 წლის მონაცემების მიხედვით, საქართველოში ნავთობის რეზერვები შემდეგია:

- დადასტურებული: 1P -1.42 მლნ ტ.
- სავარაუდო: 2P - 5. 222 მლნ ტ.
- შესაძლო: 3P - 21. 137 მლნ ტ. (სსიპ „ნგსს“, 2015)

საქართველოში წიაღისეულის მოპოვების დაწყებიდან საშუალოდ 27.7 მლნ ტონა ნავთობია მოპოვებული. ბოლო წლების განმავლობაში კი წლიური საშუალო მოპოვება 50 ათას ტონა ნავთობს შეადგენს. ქვემოთ წარმოდგენილ გრაფიკზე მოცემულია ნავთობის მოპოვების მოცულობა 2007-2014 წლების მიხედვით, საიდანაც ნათლად ჩანს, რომ მოპოვება ყოვეწლიურად მცირდება.

ნავთობის მოპოვება



გრაფიკი 1. ნავთობის მოპოვება საქართველოში, 2007-2014 წწ., ტონა

ბოლო წლების მიხედვით სსიპ „ნავთობისა და გაზის სახელმწიფო სააგენტოს“ მიერ გაცემული ლიცენზიებისა და მიღებული მოსაკრებლებისა და ხელმოწერის ბონუსის შესახებ ქრონოლოგიური ინფორმაცია შემდეგია:

2010 წელი - გაიცა ნავთობისა და გაზის რესურსებით სარგებლობის გენერალური ლიცენზია. სალიცენზიო მოსაკრებელი 22 000 ლარი, ხელმოწერის ბონუსი 1 000 000 აშშ დოლარი;

2011 წელი - გაიცა ნავთობისა და გაზის რესურსებით სარგებლობის ოთხი გენერალური ლიცენზია. სალიცენზიო მოსაკრებელი 88 000 ლარი, ჯამურად ხელმოწერის ბონუსი 7 044 000 აშშ დოლარი;

2013 წელი - გაიცა ნავთობისა და გაზის რესურსებით სარგებლობის სამი გენერალური ლიცენზია. სალიცენზიო მოსაკრებელი 66 000 ლარი, ჯამურად ხელმოწერის ბონუსი 1 596 000 აშშ დოლარი;


2014 წელი - გაიცა:

- ✓ ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირების ლიცენზია 2 წლის ვადით. სალიცენზიო მოსაკრებელი 2 000 ლარი;

- ✓ ნავთობის გადამუშავების ლიცენზია 25 წლის ვადით. სალიცენზიო მოსაკრებელი 15 000 ლარი; (სსიპ „ნგსს“, 2015)

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ნავთობის მოპოვება საკმაოდ დაბალ ნიშნულზეა, შედარებით მაქსიმალურადაა გამოყენებული საქართველოს სატრანზიტო პოტენციალი. ამჟამად ქვეყანაში 2 ნავთობსადენია: ბაქო-თბილის-ჯეიჰანის ნავთობსადენი (BTC) და დასავლეთ მარშრუტის საექსპორტო მილსადენი (WREP). BTC-ის მეშვეობით აზერბაიჯანში მოპოვებული ნავთობი საქართველოს გავლით თურქეთში, ჯეიჰანის პორტში მიემართება, ხოლო WREP-ის მეშვეობით აზერი-ჩირაგ-გიუნეშელის საბადოდან მოპოვებული ნავთობის ტრანსპორტირება სუფსის ტერმინალამდე მილსანედით ხორციელდება, ხოლო შემდეგ ნავთობი ტანკერებით თურქეთში მიემართება. (სს „სნგკ“, თ.გ.). გრაფიკი №2-ზე წარმოდგენილია აღნიშნული მილსადენების მეშვეობით გატარებული ნავთობის მოცულობები. გრაფიკიდან ნათლად ჩანს, რომ საშუალოდ 90% ტრანსპორტირებული ნავთობისა BTC-ის მილსადენზე, ხოლო 10% - WREP-ზე მოდის.

ნავთობის ტრანზიტის



გრაფიკი 2. ნავთობის ტრანზიტის, 2008-2014 წწ., მლნ ბარელი

ქვემოთ წარმოდგენილია ის ძირითადი კომპანიები, რომლებიც მოპოვებით თუ ძებნა-ძიების სამუშაოებს ატარებენ:

ბლეიკ ოილ ენდ გეზ ლიმიტედი

„ბლეიკ ოილ ენდ გეზ ლიმიტედი“ შეიძინა აშშ-ში დაარსებული „კანარგო ენერჯი კორპორეიშენის“ პროექტები საქართველოში ნავთობისა და გაზის ძებნა-ძიებისა და მოპოვების სფეროში და ახორციელებს საქმიანობას სამი შვილობილი ოფშორული

კომპანიის მეშვეობით, რომლებსაც სახელმწიფოსთან აქვთ პროდუქციის წილობრივი განაწილების ხელშეკრულებები (პწეხ) გაფორმებული და ფლობენ შესაბამის ლიცენზიას:

ნინოწმინდის ნავთობის კომპანია - XIE და XIF სალიცენზიო ბლოკები;

კანარგო ნაზვრევი - XIX და XIII სალიცენზიო ბლოკები;

კანარგო ნორიო - XIC სალიცენზიო ბლოკი.

”ბლეიკ ოილ ენდ გეზ ლიმიტედი” საოპერაციო საქმიანობას სამივე ლიცენზიის ფარგლებში აწარმოებს საქართველოში დაარსებული კომპანია ”კანარგო ჯორჯიას” მეშვეობით.

ჯინდალ პეტროლიუმ ლიმიტედი

„ჯინდალ პეტროლიუმ ლიმიტედი“ ინდური კომპანიაა, რომელიც საქართველოში შვლობილი ოფშორული კომპანია „ჯინდალ პეტროლიუმ ჯორჯია ლიმიტედის“ მეშვეობით 2009 წლიდან აწარმოებს ნავთობისა და გაზის ძებნა-ძიებისა და მოპოვების ოპერაციებს ხუთი ლიცენზიის ფარგლებში VIIA, IX, X, XIII და XIB სალიცენზიო ბლოკზე. „ჯინდალ პეტროლიუმ ჯორჯია“ ხელშეკრულებებით დადგენილი მინიმალური სამუშაო პროგრამის ფარგლებში ოთხ ბლოკზე აწარმოებს ძებნა-ძიებით ოპერაციებს, ხოლო XIB ბლოკზე ძებნა-ძიებასთან ერთად ახორციელებს ნავთობისა და მომყოლი გაზის მოპოვებას.

კომპანიამ საქართველოს ტერიტორიულ წყლებში მინერალების მოპოვებაზე 30-წლიანი ლიცენზია 2010 წლის დასაწყისში მიიღო.

ფრონტერა რისორსიზ ჯორჯია კორპორეიშენი

ფრონტერა არის საერთაშორისო ნავთობისა და გაზის კომპანია, რომელიც დაარსდა 1996 წელს. მისი სათავე ოფისი ამერიკაში მდებარეობს. კომპანიამ თავისი საქმიანობა საქართველოში 1997 წლიდან დაიწყო. იგი აწარმოებს კვლევა-ძიებისა და მოპოვებით სამუშაოებს აღმოსავლეთ საქართველოში, XII სალიცენზიო ბლოკზე, რისთვისაც საქართველოში დააფუძნა ოპერატორი კომპანია შპს “ფრონტერა ისტერნ ჯორჯია”.

სტრეიტ ოილ ენდ გეზ ლიმიტედი

„სტრეიტ ოილ ენდ გეზ ლიმიტედი“ არის ბრიტანული კერძო კომპანია, რომელიც 2006 წლის თებერვალში შეიქმნა. კომპანია ნავთობისა და გაზის ძებნა-ძიების ოპერაციებს ლიცენზიის ფარგლებში ახორციელებს VIA სალიცენზიო ბლოკებზე, რისთვისაც საქართველოში დააფუძნა ოპერატორი კომპანია შპს „სტრეიტ ოილ ენდ გეზ საქართველო“. ამ ეტაპზე აწარმოებს ბურღვით ოპერაციებს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მინიმალური სამუშაო პროგრამის ფარგლებში.

მარინ რისორსიზ ექსპლორეიშენ ინტერნეიშენალი

„მარინ რისორსიზ ექსპლორეიშენ ინტერნეიშენალი“, იგივე „მარექსინი“ 2008 წელს დაარსდა. იგი რეგისტრირებულია ნიდერლანდებში.

„მარექსინი“ შვილობილ კომპანიებთან ერთად შავი ზღვის რეგიონში ახორციელებს ძებნა-ძიების სამუშაოებს და ინოვაციური ტექნოლოგიების გამოყენებით ახდენს ზღვაში არსებული ბუნებრივი რესურსების ათვისებას.

კომპანია მუშაობს შავ ზღვაში ძებნა-ძიებითი სამუშაოების ჩატარებისთვის საჭირო ლიცენზიების მოპოვებაზე. ამჟამად უკვე მოპოვებული აქვს ლიცენზია შავ ზღვაში, საქართველოსა და რუმინეთის ტერიტორიულ წყლებში საქმიანობაზე.

კომპანიამ საქართველოს ტერიტორიულ წყლებში მინერალების მოპოვებაზე 30-წლიანი ლიცენზია 2010 წლის დასაწყისში მიიღო. (სს „სნგკ“, თ.გ.)

აზერბაიჯანი და საქართველო ალტერნატიული ენერჯეტიკის სფეროში ითანამშრომლებენ

აზერბაიჯანის ენერჯეტიკის ალტერნატიული და განახლებადი წყაროების სახელმწიფო სააგენტომ და საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტრომ ალტერნატიული ენერჯეტიკის სფეროში ერთობლივი სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ მოილაპარაკეს.

სახელმწიფო სააგენტოს მეთაურმა აკიმ ბადალოვმა თბილისში ვიცე-პრემიერ/ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრ გიორგი კვიციანიშვილთან და ვიცე-



პრემიერ/ენერჯეტიკის მინისტრ კახა კალამესთან მოაწყო შეხვედრები. (Orujova Nigar., 2015)

ბადალოვმა აღნიშნა, რომ ორივე მხარეს აქვს პოტენციური ალტერნატიული და განახლებადი ენერჯეტიკის გამოყენების საკითხში.

„ორივე ქვეყანაში არსებობს დიდი ოდენობის ჰიდრორესურსები, თუმცა

მომავალში ჰიდროენერჯეტიკის ათვისებამ შესაძლოა, ეკოლოგიურ პრობლემებამდე მიგვიყვანოს, ამიტომ მიზანშეწონილია, წყლის რესურსების უფრო ეფექტური გამოყენება. გეოგრაფიული მდებარეობა საშუალებას გვაძლევს, ავითვისოთ ქარის, ბიომასის და გეოთერმული ენერჯეტიკა“, - აღნიშნავს სააგენტოს ხელმძღვანელი.

ქართული მხარე დაინტერესდა რიგი პროექტებით, რომლებიც აზერბაიჯანში ხორციელდება. მათ შორისაა „ერთი სახლი - ერთი სადგური“, ჰიბრიდული ტიპის ელექტროსადგურების პროექტი და ენერგეტიკული საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობა.

მხარეებმა მიიღეს გადაწყვეტილება, საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის ერთობლივი სამუშაო ჯგუფი შექმნან, ასევე მოილაპარაკეს, უფრო ხშირად გამართონ შეხვედრები და გაუზიარონ გამოცდილება ალტერნატიული ენერგეტიკის სფეროში. (Бадалов., 2015.)

საწვავის იმპორტის მიმდინარე წლის 6 თვის მაჩვენებელი 14.5%-ით აღემატება გასული წლის მაჩვენებელს

ნავთობპროდუქტების იმპორტიორთა კავშირის განცხადებით, მიმდინარე წლის ივნისის თვეში საქართველოში ნავთობპროდუქტების (ბენზინი და დიზელის საწვავი) იმპორტმა შეადგინა 81.0 ათასი ტონა, რაც 0.1 ათასი ტონით აღემატება მაისის თვის მაჩვენებელს.

მათ შორის, ივნისის თვეში ბენზინის საწვავის იმპორტმა შეადგინა 40.7 ათასი ტონა, ხოლო დიზელის საწვავის იმპორტმა - 40.3 ათასი ტონა.

საწვავის კატეგორიების მიხედვით, 2015 წლის ივნისის თვეში საქართველოში ბენზინის საწვავის იმპორტმა შეადგინა: A-91 რეგულარი მარკის ბენზინი - 27.5 ათასი ტონა ანუ 67.6%; A-95 პრემიუმი მარკის ბენზინი - 12.2 ათასი ტონა, ანუ 30.0%, A-98 სუპერის მარკის ბენზინი - 1.0 ათასი ტონა ანუ 2.4%.

დიზელის საწვავის იმპორტმა კატეგორიების მიხედვით მიმდინარე წლის ივნისის თვეში შეადგინა: 50PPM (ევრო დიზელი) - 23.2 ათასი ტონა, ანუ 57.6%, L-62 დიზელის საწვავი - 17.1 ათასი ტონა, ანუ 42.4%.

ქვეყნების მიხედვით 2015 წლის ივნისის თვეში ბენზინისა და დიზელის საწვავის იმპორტის ყველაზე დიდი მოცულობა განხორციელდა რუმინეთიდან - 32.2 ათასი ტონა, რაც მთელი იმპორტის 39.8%-ს შეადგენს. შემდეგ მოდიან: ბულგარეთი - 20.4 ათასი ტონა -25.2%; აზერბაიჯანი - 11.0 ათასი ტონა - 13.6%; რუსეთი - 7.8 ათასი ტონა - 9.6%; საბერძნეთი - 6.8 ათასი ტონა - 8.4%, თურქმენეთი - 2.5 ათასი ტონა - 3.1% და ა.შ.

სულ 2015 წლის პირველი 6 თვის განმავლობაში საქართველოში ნავთობპროდუქტების (ბენზინი და დიზელის საწვავი) იმპორტმა შეადგინა 450 ათასი ტონა, რაც 65.2 ათასი ტონით ანუ 14.5%-ით აღემატება გასული წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელს - 384.8 ათასი ტონას.

მათ შორის, მიმდინარე წლის იანვარ-ივნისის თვეებში ბენზინის საწვავის იმპორტმა შეადგინა 191.1 ათასი ტონა, რაც 19.2 ათასი ტონით აღემატება 2014 წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელს (171.9 ათასი ტონა), ხოლო დიზელის საწვავის იმპორტმა შეადგინა 258.9 ათასი ტონა, რაც 46 ათასი ტონით მეტია 2014 წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელთან შედარებით (171,9 ათასი ტონა).

საინტერესოა სხვა ნავთობპროდუქტების იმპორტის მონაცემებიც:

მიმდინარე წლის ივნისის თვეში საქართველოში იმპორტირებულ იქნა 11.4 ათასი ტონა სანავთობო ბიტუმი, რომლის უმეტესი წილი - 91.2% განხორციელდა ირანის ისლამური რესპუბლიკიდან. სულ 2015 წლის 6 თვის განმავლობაში საქართველოში იმპორტირებულ იქნა 33.6 ათასი ტონა სანავთობო ბიტუმი, რაც 0.1 ათასი ტონით აღემატება 2014 წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელს (33.5 ათასი ტონა).

მიმდინარე წლის ივნისის თვეში საქართველოში საცხებ-საპოხი მასალების იმპორტმა შეადგინა 1.7 ათასი ტონა. სულ 2015 წლის იანვარ-ივნისის თვეების განმავლობაში საქართველოში იმპორტირებულ იქნა 8.4 ათასი ტონა საცხებ-საპოხი მასალები, რაც 0.4 ათასი ტონით აღემატება გასული წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელს - 8,0 ათას ტონას.

2015 წლის ივნისის თვეში საქართველოში საავიაციო ნავთის იმპორტმა შეადგინა 2.6 ათასი ტონა. სულ 2015 წლის 6 თვის განმავლობაში საქართველოში იმპორტირებულ იქნა 23.8 ათასი ტონა საავიაციო ნავთი, რაც 4.9 ათასი ტონით ნაკლებია 2014 წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელთან შედარებით (28.7 ათასი ტონა)
(ნავთობპროდუქტების იმპორტიორთა კავშირი., 2015)

მეზობელ ქვეყნებში მიმდინარე მნიშვნელოვანი ენერგეტიკული მოვლენები

„სამხრეთის გაზის დერეფნის“ კაპიტალიზაცია მნიშვნელოვნად გაიზარდა

აზერბაიჯანის ნავთობის სახელმწიფო ფონდის ვებგვერდზე გამოქვეყნებული ინფორმაციის თანახმად, დახურული სააქციო საზოგადოება „სამხრეთის გაზის დერეფნის“ სამეთვალყურეო საბჭოსა და აქციონერთა კრების გადაწყვეტილებებით, კომპანიის საწესდებო კაპიტალი 725 მილიონ აშშ დოლარით იზრდება.

საზოგადოების პირველადი კაპიტალი 100 მილიონ აშშ დოლარს შეადგენდა, თუმცა 2015 წლის თებერვალში, კომპანიის აქციების ნომინალის ცვლილებასთან დაკავშირებით, მისი კაპიტალი 300 მილიონ აშშ დოლარამდე გაიზარდა.

„2015 წლის პირველ ნახევარში ნავთობის სახელმწიფო ფონდმა ქვეყნის ეკონომიკისა და მრეწველობის სამინისტროს სახაზინო ანგარიშზე 318.75 მილიონი აშშ დოლარი გადარიცხა. ჯამში სააქციო საზოგადოების კაპიტალში ფონდის მონაწილეობის წილმა 369.75 მილიონ აშშ დოლარს მიაღწია (51%)“, - აღნიშნულია ინფორმაციაში.



Капитализация "Южного газового коридора" значительно увеличена., 2015

აზერბაიჯანის პრეზიდენტის ილჰამ ალიევის განკარგულებით შექმნილი სახელმწიფო კომისიის გადაწყვეტილების თანახმად, სს „სამხრეთის გაზის დერეფნის“ საწესდებო კაპიტალი ორ თვეში ერთხელ იზრდება ეკონომიკისა და მრეწველობის სამინისტროსა და „სოკარის“ წილობრივი მონაწილეობის შეფარდების შენარჩუნების პირობით.

სულ 2014 წლის განმავლობაშ ნავთობის ფონდმა საზოგადოების პაკეტში თავისი წილის ფინანსირებისათვის 2.5 მილიარდი აშშ დოლარი გამოყო.

2014 წლის თებერვალში პრეზიდენტმა ილჰამ ალიევმა ხელი მოაწერა განკარგულებას დსს-ს შექმნის შესახებ „შაჰ-დენიზის“ გაზოკონდესატური საბადოს ათვისების მეორე ფაზის, სამხრეთკავკასიური, ტრანსანატოლიური და

ტრანსადრიატიკული გაზსადენების გაფართოების პროექტების ეფექტური მართვის მიზნით.

ნავთობის სახელმწიფო ფონდს დაევალა სახელმწიფოს პირდაპირ მფლობელობაში არსებულ სააქციო საზოგადოებაში წილობრივი მონაწილეობის დაფინანსება. სახსრები, რომლებიც წილობრივი მონაწილეობისათვის მიეცემა საზოგადოებას უზრუნველყოფილი იქნება გრძელვადიანი ინვესტიციებით დაბრუნების პირობით.

„სამხრეთის გაზის დერეფანი“ არის პროექტი, რომელიც ევროპას ნახშირწყალბადების წყაროების დევერსიფიცირებისა და ენერგოუსაფრთხოების გაზრდის საშუალებას მისცემს, ხოლო აზერბაიჯანს - შესძენს ახალ ბაზარს ევროპის სახით. *(Гасанли Азад., 2015)*

აზერბაიჯანი და ირანი ელექტროენერჯის შესახებ ახალ შეთანხმებას მოაწერენ ხელს

„აზერბაიჯანი და ირანი ელექტროენერჯის გადაცემის შესახებ ახალ ხელშეკრულებას მოაწერენ ხელს,“ - განაცხადა ირანის ენერჯეტიკის მინისტრის მოადგილემ ჰუმენგ ფალახატანმა.



Азербайджан и Иран подпишут новое соглашение по электроэнергии

მან აღნიშნა, რომ საკითხი მისი აზერბაიჯანში დაგეგმილი ვიზიტის დროს განიხილება, სადაც ასევე გადაწყდება ამ ორი ქვეყნის ენერგოსისტემების სინქრონიზაციის საკითხი.

მისი თქმით, აზერბაიჯანში გამართულ შეხვედრებზე ელექტროენერგიაზე ტარიფების განსაზღვრის საკითხზეც ისაუბრებენ.

მინისტრის მოადგილემ აღნიშნა, რომ ირანმა და აზერბაიჯანმა უკვე გაინაწილეს ენერგოსისტემების სინქრონიზაციასთან დაკავშირებული ყველა სამუშაო.

„აშენებულია ელექტროსადგურები და ელექტროგადამცემი ხაზები, ინფრასტრუქტურა სრულად მზადაა. იმედი გვაქვს, რომ ამ ვიზიტის ფარგლებში მიღწეული იქნება საბოლოო შეთანხმება და ხელი მოეწერება შესაბამის შეთანხმებას (ენერგოსისტემების სინქრონიზაციის შესახებ)“ - განაცხადა ფალახატაიანმა.

მან აღნიშნა, რომ ირანმა აზერბაიჯანულ მხარეს აცნობა თავისი მზადყოფნის შესახებ ხელი მოაწეროს შეთანხმებას ამ ორი ქვეყნის ენერგოსისტემების სინქრონიზაციის შემდეგ აზერბაიჯანისაგან ელექტროენერჯის შესყიდვის შესახებ.

„ამას გარდა, აზერბაიჯანმა დაინტერესება გამოხატა ირანის განახლებადი ენერჯების სფეროში ინვესტირებასთან დაკავშირებით, მათ შორის გეოთერმული ელექტროსადგურების მშენებლობის შესახებ, რასაც ჩვენ მივესალმებით“, - აღნიშნა მინისტრის მოადგილემ.

ფალახატაიანმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ირანი იწვევს აზერბაიჯანელ ინვესტორებს ირანში ინვესტირებისათვის.

მისი თქმით, მოახდენენ რა ენერგოსისტემების სინქრონიზაციას, აზერბაიჯანი და ირანი მომავალში ელექტროენერჯის მესამე ქვეყნებთან გაცვლან, მათ შორის - რუსეთთან.

ორი ქვეყნის ენერგოსისტემების სინქრონიზაციის შემდეგ ირანი შეძლებს ელექტროენერჯია გაცვალოს რუსეთთან, ხოლო აზერბაიჯანი - ავღანეთთან და ერაყთან, ირანის გავლით.

ირანის ელჩმა აზერბაიჯანში მოხსინ პაკაიინმა ადრე აღნიშნა, რომ ორმა ქვეყანამ შეათანხმა საკითხი აზერბაიჯანიდან ერაყსა და ავღანეთში ირანის გავლით ელექტროენერჯის გადაცემის შესახებ. (*Джафаров Темкин., 2015.*)

თურქეთის ირანში ნავთობისა და გაზის კვლევა-ძიების სამუშაოების ჩატარება სურს

ირანისათვის დასავლური სანქციების მოხსნის შემთხვევაში თურქეთის ნავთობისა და გაზის კორპორაცია (TPAO) შესაძლოა ირანის ტერიტორიაზე ნახშირწყლბადების კვლევა-ძიების სამუშაოებით დაინტერესდეს.

კორპორაციაში აღნიშნეს, რომ ისინი თეირანთან აწარმოებდნენ მოლაპარაკებებს მთელი რიგი პროექტების რეალიზაციისთან დაკავშირებით, მაგრამ ირანის პოზიციის შედეგად მოლაპარაკებები შეჩერდა.

„თუ ირანული მხარე ТРАО-ს მისცემს ამ ქვეყანაში მუშაობის საშუალებას, კორპორაცია მზადაა დაიწყოს ნახშირწყალბადების კვლევა“, - განაცხადეს კორპორაციაში.

როგორც ადრე იუწყებოდნენ, თურქეთის ენერჯეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრმა თანერ ილდიზმა განაცხადა იმის შესახებ, რომ ანკარას განზრახული აქვს, ითანამშრომლოს ირანთან ნახშირწყალბადების კვლევის სფეროში.

ირანმა და საერთაშორისო შუამავლების „ექსპულმა“ 14 ივლისის დამეს ირანული ატომის მრავალწლიანი პრობლემის დარეგულირების შესახებ ისტორიულ შეთანხმებას მიაღწიეს. მრავალთვიანი მოლაპარაკებები ყოვლისმომცველი ერთობლივი ქმედებების გეგმის მიღებით დასრულდა, რომლის შესრულებაც მთლიანად გაათავისუფლებს ირანს გაეროს უშიშროების საბჭოს, აშშ-სა და ევროკავშირის მიერ დაწესებული ეკონომიკური და ფინანსური სანქციებისგან. *(Руфиз Хафизоглу., 2015.)*

უკრაინა ყაზახეთს მისი ტერიტორიის გავლით ნავთობისა და გაზის ტრანსპორტირებას სთავაზობს



Украина предлагает Казахстану транспортировать через нее нефть и газ

უკრაინა ყაზახეთს მისი ტერიტორიის გავლით ნავთობისა და გაზის ტრანსპორტირებას სთავაზობს. დარგობრივი სამინისტროები შესაბამის საკითხზე მუშაობენ. ამის შესახებ ყაზახეთის პირველმა ვიცეპრემიერმა ბაკიჯან საგინტაევმა განაცხადა.

„უკრაინული მხარისაგან შემოვიდა წინადადება ნავთობის მიწოდებისა და ნავთობისა და გაზის ტრანზიტის უკრაინის ნავთობისა და გაზის ტრანსპორტირების სისტემის მეშვეობით განხორციელების შესახებ. ეს საკითხები დამატებით იქნება განხილული. შესაბამისი დავალებები მიცემული აქვთ ჩვენს დარგობრივ სამინისტროებს“, - აღნიშნა საგინტაევმა.

მანამდე უკრაინის ენერჯეტიკისა და ქვანახშირის მრეწველობის სამინისტროს ევროინტეგრაციის სამმართველოს ხელმძღვანელმა მიხაილ ბნო-აირიანმა თავის გვერდზე ტვიტერში დაწერა, რომ კიევი დაინტერესებულია თურქმენეთისა და ყაზახეთისაგან გაზის შესყიდვით.

თავის მხრივ უკრაინის ენერჯეტიკისა და ქვანახშირის მრეწველობის მინისტრმა ვლადიმერ დემჩიშინმა სახელმწიფოთაშორისი კომისიის სხდომის დასრულების შემდეგ გამართულ ბრიფინგზე დააზუსტა: ყაზახური ნავთობისა და გაზის შესახებ საუბარი მიდის როგორც უკრაინისათვის მისაწოდებლად, ასევე მისი გავლით სხვა მომხმარებლებისათვის ტრანზიტის მიზნითაც.

ამასთან, მიწოდების განხორციელება მხოლოდ რუსეთზე ტრანზიტითაა შესაძლებელი. უკრაინა დსთ-ს თავისუფალი ვაჭრობის ზონის ფარგლებში მილსადენზე თავისუფალი წვდომის ხელშეკრულების დადებას გეგმავდა, რაც ყაზახური გაზისა და ნავთობის პირდაპირი მიწოდების საშუალებას მისცემდა როგორც უკრაინაში, ასევე მისი გავლით. თუმცა მას შემდეგ ქვეყანამ ევტონტეგრაციისაკენ აიღო კურსი, ხელი მოაწერა ევროსაბჭოსთან თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებას და განაცხადა დსთ-დან გასვლის შესახებ, მიუხედავად იმისა, რომ აგრძელებს მისი თავისუფალი ვაჭრობის ზონის შეღავათებით სარგებლობას. (*НефтеРынок., 2015.*) (*NefteGaz.kz., 2015.*)

მსოფლიოში მიმდინარე ძირეული ენერგეტიკული ცვლილებების შესახებ, ან მომხდარი მოვლენების შესახებ ინფორმაცია და მისი ანალიზი, სხვადასხვა ქვეყნის ენერგეტიკული სისტემის ანალიზი.

ალბანეთში კერძო კომპანიების მიერ ელექტროენერჯის წარმოების ბუმი

მარეგულირებლის ყოველწლიური ანგარიშის თანახმად კერძო კომპანიების მიერ ელექტროენერჯის წარმოებამ გასულ წელს პიკს მიაღწია. ამჟამად ქვეყნის ელექტროენერჯის წარმოების მეხუთედი კერძო კომპანიებზე მოდის.

„ახალმა მცირე ელექტროსადგურებმა და რამდენიმე საშუალო სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურის პრივატიზაციამ ალბანეთში ელექტროენერჯის წარმოებაში კერძო სექტორის წილი ჯამური წარმოების დაახლოებით მეხუთედამდე გაზარდა,“ - აღნიშნულია ენერგეტიკის მარეგულირებელი სააგენტოს 2014 წლის ანგარიშში.

მასში ნათქვამია, რომ ელექტროენერჯის წარმოების ბაზარი ალბანეთში ამჟამად



8.1 მილიარდ ლეკს (დაახლოებით 58 მილიონი ევრო) შეადგენს.

ჯერ მხოლოდ 2014 წლის განმავლობაში ქსელში 13 კერძო ჰესი ჩაერთო, ჯამური დადგმული სიმძლავრით - 37 მვტ, მიაწოდა რა ეროვნულ წარმოებას დამატებით 38 მვტ.სთ. ელექტროენერჯია.

Lenharica, one of the hydropower plants currently under construction. Photo: Lindita Çela/BIRN

ალბანეთში კერძო კომპანიების მიერ ელექტროენერჯის წარმოება 2000-ში დაიწყო, როდესაც ათობით მცირე ჰესის, ძირითადად კომუნისტურ პერიოდში აშენებული, პრივატიზაცია განხორციელდა.

2008 წლიდან ბაზარი სწრაფად გაიზარდა, მას შემდეგ რაც მთავრობამ ხელი მოაწერა ჰესების მშენებლობის შესახებ ასობით შეთანხმებას ელექტროენერჯის გრძელვადიანი შესყიდვის პირობით.

„ალბანეთში ამჟამად დაახლოებით 98 კერძო ჰესი აწარმოებს ელექტროენერჯას, ჯამური დადგმული სიმძლავრით 294 მვტ“, - აღნიშნულია მარეგულირებლის ანგარიშში.

ამჟამად უმსხვილეს მწარმოებელს ჩრდილოეთ ალბანეთში მდინარე დრინიზე აშენებული აშტა ჰესი წარმოადგენს. ამ 50 მვტ-იანმა ჰესმა 2014 წლის განმავლობაში დაახლოებით 200 გვტ.სთ. ელექტროენერჯია აწარმოა.

ათობით სხვა კერძო ჰესი მშენებლობის ეტაპზეა და რამდენიმე წელიწადში ქსელში ჩაერთვება. მათ შორის უმსხვილესია დევოლის ჰიდროენერგეტიკული პროექტი, რომელიც 2019 წლისათვის უნდა დასრულდეს.

აღსანიშნავია, რომ ალბანეთს კიდევ უამრავი მდინარე აქვს, რომლებიც შესაძლოა გამოყენებულ იქნან ელექტროენერჯის წარმოებისათვის, მაგრამ ჰიდროსადგურების მშენებლობა ხშირად ალბანეთის მოსახლეობის შეშფოთების მიზეზი ხდება, გარემოზე ზემოქმედების გამო. (*Erebara Gjergj., 2015*).

2015 წელს Gazprom-ის გაზის წარმოება ყველა დროის მინიმუმამდე შემცირდება

რუსეთის ეკონომიკის მინისტრის ცნობით, კომპანია Gazprom-ის გაზის წარმოება მიმდინარე წელს რეკორდულად დაბალ ნიშნულზე - 414 მლრდ კუბ.მ-მდე დავა, რის მიზეზადაც ძირითადად შემცირებული მოთხოვნა და მოპოვების საქმიანობაში ინვესტიციების სიმცირე სახელდება. თუმცა, რუსეთისა და მსოფლიოს უდიდესი ბუნებრივი გაზის მწარმოებელი კომპანია მაისში გაკეთებული ბოლო პროგნოზის მიხედვით, 2015 წელს წარმოების დონეს 450 მლრდ კუბ.მ-მდე გაზრდას ვარაუდობდა, რაც წინა წლის მაჩვენებელს - 444 მლრდ კუბ.მ-ს აჭარბებს.

ეკონომიკის სამინისტროს მონაცემები მას შემდეგ გამოქვეყნდა, რაც ცნობილი გახდა, რომ რუსეთის მშპ ივნისის თვეში გასული წლის ივნისთან შედარებით 4.2%-ით შემცირდა. ამის მიზეზი კი უკრაინასთან არსებული ომის გამო დასავლეთის მიერ დაწესებული სანქციები და ნავთობზე ფასების შემცირება იყო. Gazprom-მა, რომელიც რუსეთის მშპ-ს საშუალოდ 8%-ს უზრუნველყოფს, მიმდინარე წლის დასაწყისში ენერგეტიკის სამინისტროს მონიტორინგის სააგენტოში გაზის წარმოების ყოველთვიური მონაცემების გამოქვეყნება შეწყვიტა.

ეკონომიკის სამინისტროს განცხადებით, 2015 წლის პირველ ნახევარში Gazprom-ის ექსპორტი ევროკავშირსა და თურქეთში 6.2%-ით - 66.8 მლრდ კუბ.მ-მდე შემცირდა, რაც ძირითადად ევროპაში მოხმარების შემცირებითა და ზამთრის პერიოდში გაზსაცავებში დაგროვილი გაზის მზარდი გამოყენებით იყო განპირობებული. სამინისტროს შეფასებით, 2015 წელს გასულ წელთან შედარებით გაზის ექსპორტი 5.5%-ით 164.6 მლრდ კუბ.მ-მდე შემცირდება. რაც შეეხება ფასებს, მიმდინარე წლის იანვარი-მაისის პერიოდში გაზის საექსპორტო ფასი ყოველ 1000 კუბ.მ-ზე 249.7 აშშ დოლარი იყო, მაშინ როცა გასულ წელს ეს ციფრი 335.7 აშშ დოლარს შეადგენდა. ეკონომიკის სამინისტროს ცნობით, იანვარი-აპრილის პერიოდში ინვესტიციები გაზის წარმოებაში 60%-ით შემცირდა (მიმდინარე ფასებში).

Gazprom-ზე დიდი გავლენა მოახდინა უკრაინასთან არსებულმა საფასო დავებმა. უკრაინამ პირველი ივლისიდან რუსეთიდან გაზის შესყიდვა შეაჩერა, მას შემდეგ, რაც ევროკავშირი-რუსეთ-უკრაინის მოლაპარაკებები ფასთან დაკავშირებით უშედეგოდ დასრულდა. Gazprom-მა პოზიციები დაკარგა დასავლეთ ევროპაში, სადაც მას გაზის მიწოდების პირველობა ნორვეგიამ ჩამოართვა. კომპანიას კიდევ ერთი პრობლემა შეუქმნა ოფიციალური მოსკოვის მიერ თურქეთთან დამაკავშირებელი წყალქვეშა მილსადენის მშენებლობის უარყოფამ, რაც „სამხრეთ ნაკადის“ ალტერნატიულ პროექტს წარმოადგენდა. (*Hellenicshippingnews., 2015*)

აშშ-ს ელექტროენერჯის ბაზარზე ბუნებრივმა აირმა ქვანახშირს პირველობა ჩამოართვა

პირველად ამერიკის შეერთებულ შტატებში ქვანახშირი აღარ არის ელექტროენერჯის წარმოების წამყვანი წყარო. ეს როლი ერგო ბუნებრივ აირს, რაც ჩრდილოეთ ამერიკაში ბუნებრივი აირის მოპოვების ზრდამ და ახალი რეგულაციების თანახმად ქვანახშირის მოხმარების შეზღუდვამ განაპირობა.



RWE., 2015. Coal and gas power plants

კვლევითი კომპანია SNL Energy-ს მიერ გამოქვეყნებული ბოლო ანგარიშის მიხედვით, 2015 წლის აპრილში ელექტროენერჯის წარმოება სამი წამყვანი რესურსით ხდებოდა: 31%- ბუნებრივი აირი, 30% - ქვანახშირი და 20% - ატომური ენერჯია და 19% - სხვა. 1%-მა განსხვავებამ ელექტროენერჯის სექტორში გარდატეხა გამოიწვია.

2008 წლიდან, ჰიდრავლიკური ბურღვის ტექნოლოგიის გამოყენებამ აშშ-ში ბუნებრივი აირის მოპოვება 30%-ით გაიზარდა. ამან, აშშ მსოფლიოში ნავთობისა და ბუნებრივი აირის ჯამური წარმოებით წამყვან სახელმწიფოდ აქცია. ფიქალის რესურსების ფართომასშტაბიანმა ათვისებამ გლობალურ ბაზარზე ორივე პროდუქტის - ნავთობისა და ბუნებრივი აირის ჭარბი მიწოდება წარმოშვა, რამაც საბოლოოდ ფასების კლების ტენდენცია გამოიწვია. დღევანდელი ბუნებრივი აირის ფასი ათი წლის წინანდელი მაჩვენებლის 1/3-მდეა. შედეგად, რიგი ენერგოკომპანიების მიერ

საწარმოებში დამატებითი ბუნებრივი აირის ტურბინები დაინერგა ან/და ქვანახშირის გენერატორების მთლიანი ჩანაცვლება მოხდა.

ამგვარი ადაპტაცია დააჩქარა 2014 წლის ივნისში ფედერალური რეგულაციების მიღებამ, რომლის მიზანი 2030 წლისთვის ქვანახშირზე მომუშავე თესებიდან სათბური ემისიების გამოყოფის შემცირებაა.

სახელმწიფოს ოფიციალური სტატისტიკის თანახმად, ბოლო ხუთი წლის მანძილზე გაიზარდა ბუნებრივი აირის გამოყენება ელექტროენერჯის წარმოებისას, ხოლო ქვანახშირის შემცირდა. აღსანიშნავია, რომ 2010 წლის აპრილის მონაცემებით, აშშ-ში ელექტროენერჯის 44%-ი ქვანახშირით, ხოლო 22%-ი ბუნებრივი აირით იწარმოებოდა. 2015 წლის აპრილში ელექტროენერჯის წარმოებაში ქვანახშირის წილი 19%-ით შემცირდა წინა წლის მაჩვენებელთან შედარებით. ბუნებრივი აირის წილი ამ დროს 21%-ით გაიზარდა. თუმცა ექსპერტები მომავალ წლებში ელოდებიან ცვალებად დინამიკას ამ ორ საწვავს შორის, რაც ძირითადად ფასების ცვლილებაზეა დამოკიდებული. (*Tully Andy., 2015*)

მომდევნო ფიქალის ბუმის ახალი პრეტენდენტი


აფრიკაში ბუნებრივი გაზის ყველაზე დიდი მომპოვებელი ალჟირი საკანონმდებლო რეგულაციების გადახედვის პროცესშია, რათა შეაჩერონ მოპოვების შემცირების ტემპი, რომელიც 10 წელზე მეტია გრძელდება. ალჟირი აფრიკის კონტინენტზე ყველაზე დიდი გაზის მწარმოებელი და ევროპაში გაზის მიწოდებით მეორე ქვეყანაა რუსეთის შემდეგ. ასევე ნავთობის მოპოვებით ქვეყანა აფრიკაში მესამე ადგილზეა ნიგერიისა და ანგოლის შემდეგ.

ენერგეტიკის საერთაშორისო ადმინისტრაციის მონაცემებით, ალჟირს იმდენად უხვი წიაღისეული საწვავის მარაგები აქვს, რომ წინასწარი შეფასებით მისი ფიქალის გაზის მარაგები მსოფლიოში მესამე ადგილზეა, რომლის ტექნიკურად მოპოვებადი რეზერვები 19.8 ტრილიონ კუბურ მეტრად შეფასდა. მიუხედავად ასეთი უხვი პოტენციური რესურსებისა, ქვეყანაში ნავთობისა და გაზის წარმოება სულ უფრო მცირდება. ამის საპასუხოდ ქვეყნის მთავრობამ საერთაშორისო ინვესტიციების მოსაზიდად ენერგეტიკული კანონმდებლობის რეფორმა მოახდინა.

კანონის მიხედვით, ნავთობისა და გაზის ახალ პროექტებში აქციების საკონტროლო პაკეტი (მინიმუმ 51%) კვლავ სახელმწიფო მფლობელობაში არსებული კომპანია Sonatrach-ის საკუთრებაში უნდა იყოს. თუმცა, ქვეყანამ აუქციონზე გამოიტანა კომპანიის წილები, რაც 33 სალიცენზიო ბლოკს მოიცავს და დამატებით სტიმულს

წარმოადგენს საერთაშორისო კომპანიებისთვის. მთავრობამ ამ დრომდე 5 კონტრაქტი გააფორმა ისეთ ნავთობკომპანიებთან, როგორებიცაა: Repsol, Shell, Statoil, და Dragon Oil-Enel. კომპანია Sonatrach-ს რამდენიმეწლიანი საინვესტიციო გეგმა აქვს შემუშავებული, რაც მოპოვებით საქმიანობაში 64 მლრდ აშშ დოლარის ჩადებას გულისხმობს. შედეგად კომპანია არა მარტო წარმოების შემცირების შეჩერებას, არამედ 2014-2019 წლებში მოპოვების დონის 1.4 მლნ ბარელი/დღიდან 1.6 მლნ ბარელ/დღემდე გაზრდას გეგმავს.

როგორც ზევით აღინიშნა, ალჟირი ევროპისთვის უმთავრესი გაზის მიმწოდებელია, რომელიც 3 საკონტინენტაშორისო მილსადენით ახდენს ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირებას, რომელთაგან ორი ესპანეთში, ხოლო ერთი იტალიაში მიემართება. იტალიაში ბუნებრივი აირის ტრანზიტი ტუნისის გავლით ხდება და წლიურად მისი მოცულობა 1.34 ტრლნ. კუბ.მ-ს შეადგენს. დღეის მდგომარეობით ალჟირი ასევე თხევადი ბუნებრივი გაზის უმსხვილესი ექსპორტიორია და წლიურად 12.8 მლნ ტონა LNG-ის ექსპორტით მსოფლიოში მეშვიდე ადგილი უკავია.



გამომდინარე იქიდან, რომ ალჟირის წარმოება შემცირდა, შესაბამისად შემცირდა ქვეყნის ექსპორტი, რამაც ქვეყნის ეკონომიკას დიდი საფრთხეები შეუქმნა, რადგან ქვეყნის საექსპორტო შემოსავლების 95%-ს ნავთობისა და გაზის ექსპორტი შეადგენს. 2012-2013 წლებში ექსპორტის მოცულობა 10%-ით შემცირდა, რამაც დამატებითი ინვესტიციების მოზიდვის გადაუდებელი აუცილებლობა შექმნა.

ფიქალის ნავთობისა და გაზის მარაგების წარმატებულად ათვისების მცდელობა ჩრდილოეთ ამერიკის კონტინენტის მიღმა ძირითადად უშედეგოდ დასრულდა, თუმცა ანალიტიკოსების შეფასებით, ფიქალის რევოლუციის კვალდაკვალ ჩრდილოეთ აფრიკა, განსაკუთრებით კი ალჟირი, საუკეთესო შედეგს აჩვენებს. (Oilprice., 2015)

ნავთობი - გზა მოპოვებიდან მომხმარებლამდე

ნავთობი უკვე ძალიან დიდი ხანია მსოფლიო პოლიტიკის განმსაზღვრელ ერთერთ მთავარ ფაქტორად იქცა და სავარაუდოდ მისი გავლენა კვლავაც დიდი ხნის მანძილზე გაგრძელდება. მასზე დამოკიდებულია მსოფლიო ეკონომიკა, ამიტომ დღემდე ის წარმოადგენს მწვავე კონკურენტული ბრძოლის საგანს, მრავალი საერთაშორისო კონფლიქტისა და ომების მიზეზს. ნავთობი გამოიყენება მრეწველობის პრაქტიკულად ყველა დარგში, ტრანსპორტის ყველა სახეობაში, სამხედრო და სამოქალაქო მშენებლობაში, სოფლის მეურნეობაში, ენერჯეტიკაში და ა.შ. (ნიჟარაძე, მამულაშვილი, 2010)



MarketWatch., 2013.

საინტერესოა როგორ ხდება ნავთობის საბადოების წარმოშობა, მათი ძიება, ბურღვა, როგორ მოიპოვებენ ამ რესურსს, როგორ ხდება მისი ტრანსპორტირება და საერთაშორისო ბაზრებამდე მიტანა.

მეცნიერები დღემდე დაობენ ნავთობის წარმოშობის ჰიპოთეზების შესახებ. არსებობს სამი ძირითადი თეორია: კარბიდული (არაორგანული) წარმოშობის, კოსმოსური და ორგანული (ბიოგენური) წარმოშობის ჰიპოთეზები. მეცნიერების უდიდესი ნაწილი მესამე თეორიას ემხრობა, რომლის მიხედვითაც ნავთობი წარმოიქმნა

ზღვებისა და ოკეანეების დანალექ ქანებში დაგროვილი მცენარეებისა და ცხოველების ნეშტისაგან. (*PA Resources., ND.*)

რაც შეეხება ნავთობის ძებნას, ის ხორციელდება გეოლოგიური, გეოფიზიკური და გეოქიმიური მეთოდების გამოყენებით.

გეოლოგიური მეთოდი ითვალისწინებს დანალექი ქანების სტრუქტურის შესწავლას გეოლოგიური გადაღებებისა და ბურღვის საშუალებით. ბურღვის შედეგების მიხედვით ადგენენ სტრუქტურულ რუკებს, რომლებზეც აღნიშნავენ მთის ქანების, განსაკუთრებით, ფენების რელიეფის შედგენილობას და ასაკს. შემდეგ ნავთობგაზური დამჭერების აღმოსაჩენად ბურღავენ სამძებრო ჭაბურღილებს. საბადოების აღმოჩენის შემდეგ, ნავთობისა და გაზის ზომებისა და მარაგების დადგენის მიზნით, იწყებენ საძიებო ბურღვას.

გეოფიზიკური მეთოდების გამოყენების დროს სპეციალური ხელსაწყოების გამოყენებით ახდენენ ისეთი მოვლენების და პარამეტრების გაზომვას, როგორცაა გრავიმეტრიული და მაგნიტური ანომალიები, ქანების ელექტროგამტარიანობა, ხელოვნური აფეთქების დროს წარმოქმნილი სეისმური რხევების გავრცელების თავისებურებები. ნავთობისა და გაზის დამჭერების ძებნისას წამყვან მეთოდს წარმოადგენს სეისმოძიება.

ნავთობისა და გაზის მოპოვების გეოქიმიურ მეთოდებს მიეკუთვნება გაზური გადაღება და გაზური კაროტაჟი. გაზური გადაღების დროს 2-3 მ-დან 10-50 მ. სიღრმეზე იღებენ გაზის (ნიადაგქვეშა ჰაერის) ან ქანების ნიმუშების სინჯებს და ამ სინჯებიდან გამოყოფენ მეთანს, ეთანს, პროპანს და სხვა ნახშირწყალბადებს. ანალიზის შედეგების მიხედვით ხდება გაზური ანომალიების გამომჟღავნება, რომლებიც საბადოს ქანების სიღრმეში მიაწინებენ ნავთობისა და გაზის შესაძლო არსებობაზე.

ნავთობის ძებნის შემდეგ იწყება გეოლოგიურ-სადაზვერვო სამუშაოები, რომელიც სამ ეტაპად იყოფა: რეგიონალური, სამძებრო და საძიებო.

რეგიონალურ ეტაპზე ახდენენ რეგიონის პროგნოზული რესურსების და მარაგების შეფასებას; გეოფიზიკური მეთოდებით განისაზღვრება საძიებო სამუშაოების რაიონები. სამძებრო ეტაპი ითვალისწინებს დეტალურ გეოფიზიკურ კვლევებს და ბურღვისათვის ლოკალური ობიექტების გამომჟღავნებას. ამის შემდეგ ახდენენ სამძებრო ჭაბურღილების ბურღვას. სამძებრო ეტაპის დასრულების შედეგად მტკიცდება საბადოს არსებობის ფაქტი და მიმდინარეობს მარაგების წინასწარი შეფასება. (*ნიჟარაძე., მამულაშვილი., 2010*) (*Cairn., 2015.*)

საძიებო ეტაპის ძირითადი მიზანია საბადოს მოხაზულობის დადგენა, ფენებისა და სავარაუდო მარაგების განსაზღვრა, რის შემდგომაც ხდება ექსპლუატაციაში საბადოს შესვლის რეკომენდაციების შემუშავება.

ამის შემდეგ კი იწყება საბადოს ბურღვა. ჭაბურღილი დედამიწის ქერქში გაჰყავთ ზედაპირზე დაყენებული მექანიზმების საშუალებით მანამ, სანამ არ მიაღწევენ ჭაბურღილის საპროექტო სიღრმეს. ბურღვის დროს ძირითადად იყენებენ ქანების დაშლის მექანიკურ მეთოდს, რომლის დროსაც დაშლა ხორციელდება სოლისებრი იარაღის დარტყმით. ქანების დაშლის ამ სახეობების შესაბამისად არსებობს ბურღვის დარტყმითი, ბრუნვითი და კომბინირებული დარტყმით-ბრუნვითი ხერხები. ბრუნვითი ბურღვისას ქანის დაშლა სანგრევზე განუწყვეტლივ მიმდინარეობს მბრუნავი სატეხით, რომელზეც ერთდროულად მოქმედებს ღერძული დაწოლა, ბრუნთა რიცხვი, სანგრევზე მიწოდებული ხსნარის რაოდენობა და წნევა. ამ ძალების მოქმედების შედეგად მიმდინარეობს სანგრევის ჩაღრმავება.

ბურღვის ერთ-ერთ მეთოდს წარმოადგენს ჰიდრავლიკური გახლეჩის მეთოდი, რომელიც მთელი მსოფლიოს მასშტაბით უფროდაუფრო პოპულარული ხდება და რომელიც ფიქალის ნავთობისა და გაზის რევოლუციის მიზეზი გახდა.

ბურღვის შემდეგ იწყება საბადოდან ნავთობის მოპოვება, რომლის დროსაც ორ მეთოდს იყენებენ. პირველ მეთოდს იყენებენ, როდესაც საბადოს ფენის წნევა საკმაოდ მაღალია და ნავთობი თვითდინებით ამოდის, რის გამოც ეს მეთოდი შედარებით ეკონომიურია, ხოლო მოპოვების ხერხს, რომლის დროსაც ნავთობი მიწის ზედაპირზე ამოდის გარედან მიწოდებული ენერჯის ხარჯზე, ეწოდება მექანიზებული, რომლის დროსაც ნავთობის ამოღება ხდება ხელოვნურად შექმნილი წნევის, ან სპეციალური სატუმბი მოწყობილობების მეშვეობით. *(ნიჟარაძე, მამულაშვილი., 2010)*

ნავთობის მოპოვების-საბადოდან ამოღების შემდეგ ხდება ნავთობის გაწმენდა სხვადასხვა მინერალებისგან და აირებისგან, რის შედეგადაც მალდება მისი კოეფიციენტი, შემდგომ კი ხდება მისი გაუწყლოება და გაუმარილოება. ამ პროცესების დასრულების შემდეგ შესაძლებელი ხდება ნავთობის ჩატვირთვა სპეციალურ ჰერმეტიკულ რეზერვუარებში, ან მისი გადაზიდვა მილსადენებით და სხვა სატრანსპორტო საშუალებებით ნავთობის გადამამუშავებელ ქარხნებში, სადაც საბოლოო გადამამუშავების შემდეგ მიიღება სასურველი ნავთობპროდუქტი, რომელიც შემდგომ უშუალოდ მომხმარებელამდე მიდის კვლავ სხვადასხვა სატრანსპორტო საშუალებით.

ნავთობპროდუქტების იმპორტიორთა კავშირი., 2015. *საწვავის იმპორტის მ/ წლის 6 თვის მაჩვენებელი 14,5%-ით აღემატება გასული წლის მაჩვენებელს*
ნავთობპროდუქტების იმპორტიორთა კავშირი.,

ვებ-გვერდი:

<http://oilnews.ge/index.php?menuid=9&lang=1&id=4195>

გამოყენების თარიღი:

[10 აგვისტო, 2015]

ნიჟარაძე, მამულაშვილი., 2010., *ნავთობისა და გაზის ქიმია*
შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ვებ-გვერდი:

http://lib.bsu.edu.ge/e-books/book_292.pdf

გამოყენების თარიღი:

[10 აგვისტო, 2015]

სსიპ „ნავთობისა და გაზის სახელმწიფო სააგენტო“, 2014., *ჩვენ შესახებ.*

სსიპ „ნავთობისა და გაზის სახელმწიფო სააგენტო“.

ვებ-გვერდი:

http://saog.ge/saog.php?id_pages=1

გამოყენების თარიღი:

[10 აგვისტო, 2015]

სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია“, თ.გ., *ინვესტორი.*

სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია“

ვებ-გვერდი:

<http://gogc.ge/ge/investor>

გამოყენების თარიღი:

[10 აგვისტო, 2015]

სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია“, თ.გ., *ნავთობის მოპოვება.*

სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია“

ვებ-გვერდი:

<http://gogc.ge/ge/oil-production>

გამოყენების თარიღი:

[10 აგვისტო, 2015]

სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია“, თ.გ., *ნავთობის ტრანსპორტირება.*

სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია“

ვებ-გვერდი:

<http://gogc.ge/ge/oil-transportation>

გამოყენების თარიღი:

[10 აგვისტო, 2015]

სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია“, თ.გ., *სტატისტიკა.*

სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია“.

ვებ-გვერდი:

<http://gogc.ge/ge/statistika>

გამოყენების თარიღი:
[10 აგვისტო, 2015]

Cairn., 2015., *Oil and gas exploration, and production life cycle*
Cairn.,

ვებ-გვერდი:
<http://www.cairnenergy.com/index.asp?pageid=554>

გამოყენების თარიღი:
[10 აგვისტო, 2015]

Erebara Gjergj., 2015. *Private Electricity Production Booms in Albania*
BalkanInsight

ვებ-გვერდი:
<http://www.balkaninsight.com/en/article/private-electricity-production-grows-in-albania-due-to-new-hpps-and-privatizations>

გამოყენების თარიღი:
[10 აგვისტო, 2015]

Hellenicshippingnews., 2015., *Russia's Gazprom gas output seen at all-time low in 2015.*
Hellenicshippingnews.

ვებ-გვერდი:
<http://www.hellenicshippingnews.com/russias-gazprom-gas-output-seen-at-all-time-low-in-2015/>

გამოყენების თარიღი:
[10 აგვისტო, 2015]

Lenharica, one of the hydropower plants currently under construction. Photo: Lindita Çela/BIRN
BalkanInsight

ვებ-გვერდი:
<http://www.balkaninsight.com/en/article/private-electricity-production-grows-in-albania-due-to-new-hpps-and-privatizations>

გამოყენების თარიღი:
[10 აგვისტო, 2015]

MarketWatch., 2013., *Oil futures close at a nearly four-week low*
[ფოტო]

MarketWatch
ვებ-გვერდი:
<http://www.marketwatch.com/story/oil-extends-losses-ahead-of-inventory-data-2013-09-17>

გამოყენების თარიღი:
[10 აგვისტო, 2015]

NefteGaz.kz., 2015. *Украина предлагает Казахстану транспортировать через нее нефть и газ*
NefteGaz.kz.,

ვებ-გვერდი:
<http://neftegaz.kz/kazaxstanskije-novosti/ukraina-predlagaet-kazaxstanu-transportirovat-cherez-nee-neft-i-gaz.html>

გამოყენების თარიღი:
[10 აგვისტო, 2015]

NefteGaz.kz., 2015. *Украина предлагает Казахстану транспортировать через нее нефть и газ*
[ფოტო]

NefteGaz.kz.,

ვებ-გვერდი:

<http://neftegaz.kz/kazaxstanskije-novosti/ukraina-predlagaet-kazaxstanu-transportirovat-cherez-nee-neft-i-gaz.html>

გამოყენების თარიღი:

[10 აგვისტო, 2015]

Oilprice., 2015., *The Latest Contender For The Next Shale Boom.*

Oilprice

ვებ-გვერდი:

<http://oilprice.com/Energy/Energy-General/The-Latest-Contender-For-The-Next-Shale-Boom.html>

გამოყენების თარიღი:

[10 აგვისტო, 2015]

Orujova Nigar., 2015. *Azerbaijan, Georgia to jointly develop alternative energy.*

AZERNEWS

ვებ-გვერდი:

<http://www.azernews.az/business/85192.html>

გამოყენების თარიღი:

[10 აგვისტო, 2015]

PA Resources., ND. *Life Cycle of an oil field.*

PA Resources.

ვებ-გვერდი:

<http://www.paresources.se/en/Operations/Life-cycle-of-an-oil-field/#1>

გამოყენების თარიღი:

[10 აგვისტო, 2015]

RWE ., 2015 *Coal and gas power plants.*

[ფოტო]

RWE

ვებ-გვერდი:

<http://www.rwe.com/web/cms/en/183542/rwe/innovation/projects-technologies/power-generation/fossil-fired-power-plants/>

გამოყენების თარიღი:

[10 აგვისტო, 2015]

Tully Andy., 2015. *Gas Passes Coal As Top U.S. Power Source*

OILPRICE.com

ვებ-გვერდი:

<http://oilprice.com/Latest-Energy-News/World-News/Gas-Passes-Coal-As-Top-US-Power-Source.html>

გამოყენების თარიღი:

[10 აგვისტო, 2015]

Бадалов ., 2015. *Азербайджан и Грузия будут сотрудничать в альтернативной энергетике.*

Вестник Кавказа

ვებ-გვერდი:

<http://www.vestikavkaza.ru/news/Azerbaiydzhan-i-Gruziya-budut-sotrudnichat-v-alternativnoy-energetike.html>

გამოყენების თარიღი:

[10 აგვისტო, 2015]

Гасанли Азад., 2015. *Капитализация "Южного газового коридора" значительно увеличена*
TREND

ვებ-გვერდი:

<http://www.trend.az/business/energy/2420312.html>

გამოყენების თარიღი:

[10 აგვისტო, 2015]

Гасанли Азад., 2015. *Капитализация "Южного газового коридора" значительно увеличена*
[ფოტო]

TREND

ვებ-გვერდი:

<http://www.trend.az/business/energy/2420312.html>

გამოყენების თარიღი:

[10 აგვისტო, 2015]

Джафаров Темкин., 2015. *Азербайджан и Иран подпишут новое соглашение по электроэнергии*

TREND

ვებ-გვერდი:

<http://www.trend.az/business/energy/2420024.html>

გამოყენების თარიღი:

[10 აგვისტო, 2015]

Джафаров Темкин., 2015. *Азербайджан и Иран подпишут новое соглашение по электроэнергии*

[ფოტო]

TREND

ვებ-გვერდი:

<http://www.trend.az/business/energy/2420024.html>

გამოყენების თარიღი:

[10 აგვისტო, 2015]

НефтеРынок., 2015. *Украина предлагает Казахстану транзит нефти через свою территорию*
НефтеРынок

ვებ-გვერდი:

http://www.nefterynok.info/news.phtml?news_id=15843

გამოყენების თარიღი:

[10 აგვისტო, 2015]

Руфиз Хафизоглу., 2015. *Турция хочет искать нефть и газ в Иране*

TREND

ვებ-გვერდი:

<http://www.trend.az/business/energy/2419496.html>

გამოყენების თარიღი:

[10 აგვისტო, 2015]